ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

გია ტაბლიაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

ქეთევან უტიაშვილი – კოლეგიის წევრი

ნინო მიქიაშვილი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი - ვ. დ

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 02.02.2017

საჩივრის რეგისტრაციის № 014/17

ადვოკატი, რომლის მიმართაც არის საჩივარი შემოტანილი - გ. ჩ /სიითი №/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ გ. ჩ-თვის „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2017 წლის 02 თებერვალს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ვ. დ-მ და მოითხოვა ადვოკატ გ. ჩ-თვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატი გ. ჩ იყო მისი შვილის - ვ. ს-ს ადვოკატი სისხლის სამართლის საქმეზე. ადვოკატი ტელეფონის მეშვეობით დაუკავშირდა ი. შ-ს - იმჟამად პატიმრობაში მყოფ ვ. ს-ს მეუღლეს და აცნობა, რომ ვ. ს-ს ციხეში ყოფნის დროს სჭირდებოდა ფული კვების პროდუქტებისთვის და ტელეფონით საუბრისათვის თანხის ჩარიცხვა, აგრეთვე, მას სჭირდებოდა სხვა პატიმრებისგან ცალკე მოთავსება, რადგან იყო ავად და ვ. ს-ს მკურნალობის ხარჯებისთვის დამატებითი თანხა იყო საჭირო. ვ. ს-ს მეუღლემ ადვოკატ გ. ჩ-ს უცხოეთიდან გადაურიცხა თანხა - 742 (შვიდას ორმოცდაორი) ევრო.

1.3 საჩივრის ავტორის განცხადებით, 2016 წლის აპრილში ვ. ს დაუკავშირდა ტელეფონის მეშვეობით თავის მეუღლეს და აცნობა, რომ იგი არ იყო მოთავსებული ცალკე მკურნალობისთვის რომელიმე კამერაში და მას არც თანხა უთხოვია ადვოკატისათვის.

1.4 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა დრო ითხოვა, იმისთვის, რომ გადაცემულ ფულს უკან დააბრუნებდა, თუმცა არ დააბრუნა, მოგვიანებით კი აღნიშნა, რომ შეეძლოთ დაეწერათ განცხადება და ეჩივლათ მისთვის.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2015 წლის დეკემბრიდან 2016 წლის იანვრის თვემდე ადვოკატმა მიიღო საადვოკატო მომსახურების ჰონორარი 500 (ხუთასი) აშშ დოლარის ოდენობით, თუმცა ადვოკატის მიერ გამოძიების პროცესში არ ყოფილა მიღებული არანაირი ზომები ვ. ს-ს ინტერესების დასაცავად.

1.6 საჩივრის ავტორის განცხადებით, ვ. ს-მა უარი განაცხადა ადვოკატ გ. ჩ-ს დაეცვა მისი ინტერესები, ხოლო, მისმა მეუღლემ ადვოკატის წინააღმდეგ მიმართა გენერალურ პროკურატურას მისი თაღლითობის საქმეზე.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა გ. ჩ-მა 2017 წლის 20 თებერვალს წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება, რომლის მიხედვითაც, 2015 წლის ნოემბრის თვეში, კასპის შსს სამმართველოში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე სსკ-ის 178-ე მუხლის მესამე ნაწილით, სადაც პოლიციელებმა დააკავეს რამდენიმე პიროვნება, მათ შორის ვ. ს.

2.2 ადვოკატის განმარტებით, თავდაპირველად, მას მიმართეს ერთ-ერთი დაკავებულის ახლობლებმა, რათა დაეცვა მისი ინტერესები. ვ. ს-ს არ ჰყავდა ადვოკატი არც ბრალის წაყენების დროს და შესაბამისად, არც აღმკვეთი ღონისძიების შეფარდებისას. მოგვიანებით, ადვოკატს დაუკავშირდნენ ვ. ს-ს ახლობლები, შეთანხმდნენ ზეპირი ფორმით, რომ ვ. ს-ს ინტერესები დაეცვა სააპელაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე.

2.3 ადვოკატის განცხადებით, მან უამრავი საპროცესო მოქმედება შეასრულა, მათ შორის, დაზარალებულს დაუკავშირდა და აუნაზღაურა მასზე მიყენებული ზიანი. ადვოკატი ვ. ს-ს არაერთხელ შეხვდა №8 დაწესებულებაში ყოფნის დროს. მან სასამართლო სხდომების მიმდინარეობის დროს ისე შეცვალა საქმის მდგომარეობა, რომ სასამართლო დარბაზიდან გათავისუფლდა ვ. ს.

2.4 ადვოკატის განცხადებით, ის მანამდე იცავდა პატიოსნად და კვალიფიციურად საჩივრის ავტორის შვილის ინტერესებს, სანამ თავად არ განახორციელეს მისი აცილება. ადვოკატის თქმით, რაც შეეხება საჩივარში აღნიშნულ თანხას, ის მან მიიღო შესრულებული საადვოკატო მომსახურებისთვის და დაზარალებულისთვის ზიანის მიყენების ასანაზღაურებლად, რის დასადასტურებლადაც არსებობს შესაბამისი დოკუმენტები.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი გ. ჩ არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი №/ ადვოკატის ადვოკატთა ასოციაციის წევრობა არ არის შეჩერებული, ასევე, არ არის გარიცხული საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან.

3.2 ვ. დ-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2017 წლის 02 თებერვალს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2016 წელს. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისათვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა -5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ გ. ჩ-ს მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება, „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის, „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

5. სამართლებრივი შეფასება

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა ჩაიდინა თაღლითობა, კერძოდ, მოითხოვა თანხა იმისათვის, რომ თითქოს მის კლიენტს - საჩივრის ავტორის შვილს - ვ. ს-ს დაკავების პერიოდში დასჭირდა გარკვეული თანხა, რომელიც გადასცა დაკავებულის მეუღლემ ადვოკატს, ადვოკატმა არ გაუწია ვ. ს-ს სისხლის სამართლის საქმეზე კვალიფიციური მომსახურება.

5.2 საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, „ეთიკის კომისიის მიერ საჩივარზე წარმოება წყდება და საჩივარი არსებითად არ განიხილება, თუ: საჩივარი წარდგენილია იმ პირის მიერ, ვისაც არ აქვს საჩივრის წარდგენის უფლება ამ დებულების მე-6 მუხლის შესაბამისად“.

5.3 დებულების მე-6 მუხლი ჩამოთვლის დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძვლებს და მიუთითებს, რომ „დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველია: ა) პირის საჩივარი, რომელსაც მიაჩნია, რომ ადვოკატის ქმედებით დაირღვა მისი უფლებები და ინტერესები, გარდა ანონიმური საჩივრისა; ბ)ადვოკატის საჩივარი სხვა ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე; გ) პროცესის მწარმოებელი ორგანოს მიმართვა ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე; დ) საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის, აღმასრულებელი საბჭოს; ეთიკის კომისიის წევრის, სარევიზიო კომისიის მიმართვა ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე“.

5.4 განსახილველ შემთხვევაში, საჩივარში წარმოდგენილი პრეტენზია უკავშირდება ადვოკატ გ. ჩ-ს მიერ საჩივრის ავტორის შვილის - ვ. ს-ს სისხლის სამართლის საქმეზე გაწეულ საადვოკატო მომსახურებას, მათ შორის, ადვოკატსა და ვ. ს-ს მეუღლეს შორის განხორციელებულ

სატელეფონო საუბარს, როდესაც ადვოკატმა აღნიშნა, რომ მის კლიენტს - ვ. ს-ს სჭირდებოდა გარკვეული თანხა ციხეში ყოფნის დროს. ადვოკატს თანხა გადასცა ვ. ს-ს მეუღლემ.

5.5 მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატ გ. ჩ-ს კლიენტს წარმოადგენს არა საჩივრის ავტორი, არამედ ვ. ს, რომლის ციხეში ყოფნის პერიოდში ადვოკატი დაუკავშირდა მის მეუღლეს, როგორც კლიენტთან ურთიერთობაში მყოფ უფლებამოსილ პირს. 2017 წლის 27 ივლისს ეთიკის კომისიამ ვ. ს-ს მიმართა წერილობითი შეკითხვებით, მათ შორის, წარმოედგინა საჩივარში აღნიშნული პრეტენზიების თაობაზე მისი პოზიცია, საპროცესო კოლეგიისთვის მიეწოდებინა ინფორმაცია ადვოკატის მიერ მისთვის გაწეული საადვოკატო მომსახურების თაობაზე და სურდა თუ არა ვ. ს-ს მიმართ ეთიკის კომისიას განეხილა ზემოაღნიშნული საჩივარი (ს.ფ.28). ვ. ს-ს ჩაბარდა აღნიშნული შეტყობინება, თუმცა მას ეთიკის კომისიისთვის არ მიუწოდებია თავისი პოზიცია საჩივართან დაკავშირებით.

5.6 მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის ავტორი - ვ. დ არ წარმოადგენს ხელშემკვრელ მხარეს და ის არ არის უფლებამოსილი პირი, წარმოადგინოს საჩივარი ადვოკატ გ. ჩ-ს წინააღმდეგ. საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ არაუფლებამოსილი პირის არსებობის საფუძვლით, მოცემულ საქმეზე უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება.

5.7 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით, რომლის მიხედვითნ „ეთიკის კომისიის მიერ საჩივარზე წარმოება წყდება და საჩივარი არსებითად არ განიხილება, თუ: საჩივარი წარდგენილია იმ პირის მიერ, ვისაც არ აქვს საჩივრის წარდგენის უფლება ამ დებულების მე-6 მუხლის შესაბამისად“ და მე-6 მუხლით, რომლის მიხედვით, „დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველია: ა) პირის საჩივარი, რომელსაც მიაჩნია, რომ ადვოკატის ქმედებით დაირღვა მისი უფლებები და ინტერესები, გარდა ანონიმური საჩივრისა; ბ)ადვოკატის საჩივარი სხვა ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე; გ) პროცესის მწარმოებელი ორგანოს მიმართვა ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე; დ) საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის; აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიის წევრის, სარევიზიო კომისიის მიმართვა ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე“. შესაბამისად, საჩივრის ავტორს უარი უნდა ეთქვას საჩივრის განხილვაზე.

III სარეზოლუციო ნაწილი

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-7 პუნქტით, 32-ე-33-ე მუხლებით, „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-4 მუხლის მე-5-მე-6 პუნქტებით, მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით, მე-19, მე-20, 27-ე, 28-ე, 30-ე, 31-ე მუხლებით, მე-40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე № 014/17 ადვოკატ გ. ჩ-ს მიმართ /სიითი №/ შეწყდეს დისციპლინური წარმოება.

2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /გია ტაბლიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ქეთევან უტიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ნინო მიქიაშვილი/